მმართველობის ანგარიშგება,
ფინანსური ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს მეეკი (სკ 236684469)

სარჩევი

- დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში (დასკვნა)
- მმართველობის ანგარიშგება:
  - საქმიანობის მიმოხილვა
  - განვითრების გეგმები
  - ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
  - დამატებითი განმარტებები
  - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
  - მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
  - კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
  - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
  - ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს მეეკის (ს/ნ 236684469) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების შედეგების შესახებ

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს მეეკის (236684469) (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სათანადოდ მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში გაასაჯაროვოს ინფორმაცია,

რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯარეოებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება

უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

კონსტანტინე ჭანტურიძე

რეგისტრირებული აუდიტორი,

ინდ. რეგ. ნომ. № SARAS-A-768413

16 სექტემბერი 2020 წ.

საქმიანობა, განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ძირითადი მონაცემები კომპანიის შესახებ

კომპანია ახორციელებს ნავთობპროდუქტების (თხევადი საავტომობილო საწვავი და გათხევადებული ბუნებრივი გაზები CNG, LPG) ძირითადად საცალო, ასევე წვრილ საბითუმო რეალიზაციას, სურსათის საცალო რეალიზაციას, ინერტული მასალის (ღორღი) საბითუმო რეალიზაციას და საიჯარო მომსახურებას. კომპანია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით - ნავთობპროდუქტებით მარაგდება ადგილობრივი მსხვილი საბითუმო რეალიზატორებისაგან, სურსათით - ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ხოლო ქვა-ღორღს მოიპოვებს კარიერზე შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.

კომპანიის პარტნიორები არიან:

მანუელ მკოიან, 07001047361 25%

დავით მკოიან, 07001047397 25%

მარტუნ მკოიან, 07001001210 50%

დირექტორი: პეტროს ნანაიან, 32001001954

<u>ცვლილებები</u>
საანგარიშო პერიოდში სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება განხორციელდა 2019 წლის ივნისში.

დირექტორი - ნორაირ მკოიან (32001003236), შეცვალა პეტროს ნანაიანმა 32001001954,

პარტნიორები:
მარტუნ მკოიან (07001001210) (50%) და ნორაირ მკოიან 32001003236 (50%) ჩაანაცვლეს ზემოთაღნიშნულმა პირებმა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება, კონკრეტულად მისი მე-14 თავი: ნავთბპროდუქტების ოპერაციების აღრიცხვა, მუხლები 57-62.
- ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი.

კომპანია საქონელს ძირითადად ყიდის ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ნავთობპროდუქტების ბაზარზე კომპანიის წილი მცირეა. მას მფლობელობაში აქვს მნიშვნელოვანი ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავი და 6 ავტოგასამართი სადგური ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონში. კომპანიის ბაზრის წილი დასახელებულ რაიონებშიც

მცირეა, ვინაიდან აქ ოპერირებენ მსხვილი კონკურენტები: ვისოლი, რომპეტროლი, გალფი და სხვა ოპერატორები.

სუსრსათისა და ქვა-ღორღის ბაზარზეც კომპანიის ბაზრის წილი მცირეა.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- საავტომობილო ბენზინები;
- დიზელის საწვავი;
- გათხევადებული ბუნებრივი გაზები CNG, LPG;
- სურსათი;
- ინერტული მასალები;

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს. თუმცა აპირებს ასორტიმენტის გაფართოებას - გათხევადებული პროპან-ბუტანის (LPG) რეალიზაციის დაწყებას და მის ზრდას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის წლიური რეალიზაცია (რაოდენობრივი მონაცემები) შესაძლებელია გაიზარდოს 4-5%-მდე.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებია:

დასახელება	31-12-18	31-12-19	გასულ წელთან შედარება
მიმდინარე აქტივები	8,565,167	4,628,971	54%
გრძელვადიანი აქტივები	1,307,635	1,402,330	107%
სულ აქტივები	9,872,802	6,031,301	61%
მიმდინარე ვალდებულებები	23,410	29,571	126%
სულ კაპიტალი	9,849,392	6,001,731	61%
სულ პასივები	9,872,802	6,031,301	61%
შემოსავალი რელიზაციიდან	25,113,219	21,280,634	85%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22,871,965	18,248,918	80%

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტის აზრით კომპანიისათვის ძირითად რისკებს წარმოადგენენ საბაზრო, საფასო და საოპერაციო რისკები.

საბაზრო რისკი და საფასო რისკი განპირობებულია მწვავე კონკურენციით დიდ ქსელურ კომპანიებთან, რამაც შეიძლება გააუარესოს საბაზრო განაკვეთები, გამოიწვიოს ფასების მერყეობა. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე. საფასო რისკი პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით იმართება. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ.

საოპერაციო რისკი წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ ცდილობს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

დირექტორი: **პეტროს ნანაიანი**

შპს მეეკი (სკ 236684469)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	30-12-19	31-12-18	31-12-17	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	1,590,005	6,182,348	3,878,602	ა1
მოკლევადიანი მოთხოვნები	48,878	119,778	292,686	ა2
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	2,922,311	2,259,248	2,904,135	ა3
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0	0	ა4
საგადასახადო აქტივები	67,776	3,793	4,126	ა5
სულ მიმდინარე აქტივები	**4,628,971**	**8,565,167**	**7,079,549**	
აქტივის გამოყენების უფლება	79,535			ა6.1
ძირითადი საშუალებები	1,201,945	1,175,635	1,289,964	ა6
მიწა	132,000	132,000	132,000	ა6
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	68,385			ა7
სულ გრძელვადიანი აქტივები	**1,481,865**	**1,307,635**	**1,421,964**	
სულ აქტივები	**6,110,836**	**9,872,802**	**8,501,513**	
ბრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	79,535			ა6.1
მოკლევადიანი ვალდებულებები	29,571	23,410	123,355	ა8
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**109,106**	**23,410**	**123,355**	
საწესდებო კაპიტალი		592,449	592,449	ა9
მოგება/ ზარალი	6,001,730	9,256,943	7,785,708	ა10
სულ კაპიტალი	**6,001,730**	**9,849,392**	**8,378,158**	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**6,110,836**	**9,872,802**	**8,501,513**	

დირექტორი: პეტროს წანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)

მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

		2019 წ	2018 წ
დასახელება	შენიშვნა	შემოსავლები	შემოსავლები
შემოსავალი რეალიზაციიდან	**ბ1.1**	21,223,753	24,783,264.00
სხვა საოპერაციო შემოსავლები		11,854	29,955.00
სულ შემოსავლები		**21,235,877**	**25,113,219**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		18,259,740	22,871,965
საოპერაციო მოგება		**2,976,137**	**2,241,254**
ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯები	**ბ2.1**	818,256	720,020
სულ ხარჯები		**19,077,996**	**23,641,985**
მოგება დაბეგვრამდე		**2,157,881**	**1,471,234**
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		**2,157,881**	**1,471,234**

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	24,270,637.59	30,300,120
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	(23,459,267)	(27,996,374)
	783,770	**2,303,746**
ფინანსური საქმიანობა		
ფინანსური დანახარჯები	(27600)	0
	(27600)	**0**
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	0.00	
მიღებული დივიდენდი	629,430.00	
გადახდილი დივიდენდები	(6,005,543.00)	
	(5,376,113)	**0**
არასაოპერაციო საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები		
არასაოპერაციო ხარჯები		
		0
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	**(4,592,343)**	**2,303,746**

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	0		**8,378,157**	**8,378,157**
ამონაგები	-	-	1,471,234	9,849,392
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	0		**9,849,392**	**9,849,392**
ამონაგები	0		2,157,881	2,157,881
გადახდილი დივიდენდები	-	-	(6,005,542)	(6,005,542)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	-	**6,001,730**	**6,001,730**

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. კომპანია

საფირმო სახელწოდება:	შპს მეეკი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	236684469
რეგისტრაციის ნომ, თარიღი:	01/02/2018
მარეგისტრირებელი ორგანო:	ნინოწმინდის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ნინოწმინდის რაიონი, ს. სათხა

ხელმძღვ/წარმომადგ: დირექტორი პეტროს ნანაიან, 32001001954

პარტნიორები:

მანუელ მკოიან, 07001047361	25%
დავით მკოიან, 07001047397	25%
მარტუნ მკოიან, 07001001210	50%

ცვლილებები
საანგარიშო პერიოდში სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება განხორციელდა 2019 წლის ივნისში.

დირექტორი - ნორაირ მკოიან (32001003236), შეცვალა პეტროს ნანაიანმა 32001001954,

პარტნიორები:
მარტუნ მკოიან (07001001210) (50%) და ნორაირ მკოიან 32001003236 (50%) ჩაანაცვლეს ზემოთაღნიშნულმა პირებმა.

კომპანია ახორციელებს ნავთობპროდუქტების (თხევადი საავტომობილო საწვავი და გაზები CNG PLG) ძირითადად საცალო, ასევე წვრილ საბითუმო რეალიზაციას, სურსათის საცალო რეალიზაციას და ინერტული მასალის (ღორღი) საბითუმო რეალიზაციას. იგი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით - ნავთობპროდუქტებით მარაგდება ადგილობრივი მსხვილი საბითუმო რეალიზატორებისაგან, სურსათით - ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ხოლო ქვა-ღორღს მოიპოვებს თავად.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობა
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.
გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

<u>ფუნქციონალური</u> <u>ვალუტა</u>
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

<u>ურთიერთჩათვლა</u>
ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

<u>ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.</u>
საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ევროში.

არღიცხვა წარმოებს საბუღალტრო პროგრამა ორისის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირია მთავარი ბუღალტერი, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

<u>ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.</u>
ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:
ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:
ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:
ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;
ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

<u>ცვეთა.</u>
ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

გაუფასურება იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 16-ს.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

<u>ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში</u>.
შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციები აისახება თვითღირებულებით;

<u>საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.</u>
საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:
ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:
ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება, თუ:
ა) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში საწარმოში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;
ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება.
ა) პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39-ის მე-9 და მგ5-მგ8 პუნქტები;
ბ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსის მიხედვით;

გ) დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

საკურსო სხვაობების აღიარება. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

მომსახურება ეწევათ სხვადასხვა იურიდიულ პირებს უმეტესად საიჯარო კუთხით. მომსახურება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

<u>ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.</u>
უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

<u>სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.</u>
ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

<u>მყიდველებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.</u>
ბასს39 მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრება, არსებობს თუ არა მინიშნება დებიტორული დავალიანების, როგორც ფინანსური აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეაფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და განმარტებით შენიშვნებში აისახება სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შინაარსი და მოცულობა (Loss allowance), რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოსალოდნელია, რომ მოახდენს მომავალ პერიოდებზე.

<u>მომწოდებლებთან ანგარიშწორების აღრიცხვა.</u>
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

<u>შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.</u>
აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდართის მე-11 პუნქტის მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი,

ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში (მაგ. ბასს 2 – „მარაგები“, ან ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“).

<u>იჯარის აღრიცხვა</u>
იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

<u>კომპანია, როგორც მეიჯარე</u>
არღიცხვას აწარმოებს ფასს16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან. საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

<u>კომპანია, როგორც მოიჯარე</u>
არღიცხვას აწარმოებს ფასს16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან. ხდება იდენტიფიკაცია, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას. დგინდება იჯარის ვადა, იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება (საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით). დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ზღვრული სასესხო განაკვეთი.
აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასება: იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“, ფასს16-ის 32-ე პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.
იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება ფასდება შემდეგნაირად: ა) იზრდება საბალანსო ღირებულება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; ბ) მცირდება საბალანსო ღირებულება განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; და გ) ხელახლა ფასდება საბალანსო ღირებულება ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.
წარდგენა: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია: ა) აქტივების გამოყენების უფლებები სხვა აქტივებისგან განცალკევებით ბ) საიჯარო ვალდებულებები სხვა ვალდებულებებისგან განცალკევებით.
მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯისგან განცალკევებით არის წარდგენილი. საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი ფინანსური დანახარჯების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც ასევე წარდგება განცალკევებით მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ბასს 1-ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - 82(ბ) პუნქტის თანახმად). ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ა) საიჯარო ვალდებულების ძირ თანხასთან დაკავშირებული ფულადი გადახდების კლასიფიცირება მოხდენილია საფინანსო საქმიანობის შემადგენლობაში; ბ) საიჯარო ვალდებულების პროცენტებთან დაკავშირებული ფულადი გადახდების კლასიფიცირება ხდება ბასს 7-ის - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ - მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება გადახდილ პროცენტებს; და გ) საოპერაციო საქმიანობის შემადგენლობაში ხდება მოკლევადიან იჯარასა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან დაკავშირებული

გადახდებისა და ასევე ისეთი ცვლადი საიჯარო გადახდების კლასიფიცირება, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულების შეფასებაში.

<u>სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.</u>
მიწოდების და მომსახურების პრაქტიკულად ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

<u>საშემოსავლო გადასახადი.</u>
საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 - ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

თანამშრომელთა ნაწილი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან სსკ 82 მუხლის მე-2 ნაწილის გ) პუნქტის შესაბამისად. წარმოდგენილი აქვთ სათანადო ცნობები შეღავათით სარგებლობის შესახებ.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

<u>ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები</u>
ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური

საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.
დაკავშირებული მხარები არიან:

დირექტორი პეტროს ნანაიან, 32001001954
პარტნიორები:
მანუელ მკოიან, 07001047361 25%
დავით მკოიან, 07001047397 25%
მარტუნ მკოიან, 07001001210 50%

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

კომპანიამ შესწორებათა ამოქმედებისთანავე მოახდინა რეაგირება. კერძოდ, იჯარა აღრიცხა 2019 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ფასს16-ის შესაბამისად.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები: კომპანია არ იყენებს ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს, რომელთა ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

4.
ფული და ექვივალენტები ა1

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
1100	**5,767,540**		**19,161,293**	**23,425,461**	**1,503,371**	
1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5,767,540		19,161,293	23,425,461	1,503,371	
1200	**414,810**		**33,334,326**	**33,662,502**	**86,634**	
1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	414,810		33,289,837	33,618,013	86,634	
1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში			44,489	44,489		
Grand Total	**6,182,350**		**52,495,619**	**57,087,964**	**1,590,005**	

მოკლევადიანი მოთხოვნები ა2

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
1400	**51,393**		**29,400,752**	**29,403,267**	**52,518**	**3,640**
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	51,393		29,400,752	29,403,267	52,518	3,640
Grand Total	**51,393**		**29,400,752**	**29,403,267**	**52,518**	**3,640**

აერთიანებს მოთხოვნებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, მისაღებ დივიდენდებს.

რაც შეეხება ანარიცხებს საეჭვო და უიმედო დებიტორულ დავალიანებებზე, ის არაარსებით თანხას შეადგენს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ა3

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
1600	**2,259,248**		**37,419,512**	**36,756,448**	**2,922,311**	
1610 საქონელი	2,259,248		37,419,512	36,756,448	2,922,311	
Grand Total	**2,259,248**		**37,419,512**	**36,756,448**	**2,922,311**	

საგადასახადო აქტივი ა5

დასახელება	31/12/18 დებეტი	31/12/18 კრედ	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
3300	**3,792**		**8,752,784**	**8,688,800**	**68,615**	**840**
3300 საგადასახადო ვალდებულებები	3,792		938,489	924,303	17,978	
3310 გადასახდელი მოგების გადასახადი			132,353	132,353		
3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი			307,236	307,236		
3330 გადასახდელი დღგ			3,889,907	3,848,935	40,972	
3340 გადახდილი დღგ			3,447,047	3,447,535		488
3380 ქონების გადასახადი			29,667	20,001	9,666	
3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები			8,085	8,437		352
Grand Total	**3,792**		**8,752,784**	**8,688,800**	**68,615**	**840**

ძირითადი საშუალებები ა6

დასახელება	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	სატრანსპ საშუალებები	ავეჯი	ჯამი
საბალ.ღირებულება	132,000.00	623,792.72	250,186.02	393,052.07	2,753.68	1,401,784.49
შემოსვლა 2019			78,077.85	155,696.00		233,773.85
გასვლა 2019				67,733.55		67,733.55
ნარჩ ღირ 2019 წლის ბოლოს ცვ დარიცხვამდე	132,000.00	623,792.72	328,263.87	481,014.52	2,753.68	1,567,824.79
ცვეთის დასარიცხი თანხა		71,871.98	30,692.89	43,323.25	419.49	146,307.61
საბალ ღირ 2019 წლის ბოლოს ცვ დარიცხვის შემდეგ	132,000.00	551,920.74	297,570.98	437,691.27	2,334.19	1,421,517.18

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში ა7

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
2400	**68,385**		**629,430**	**629,430**	**68,385**	
2430 მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	68,385		629,430	629,430	68,385	
Grand Total	**68,385**		**629,430**	**629,430**	**68,385**	

შედგება მხოლოდ ეს ჯი გაზ კომპანიის 20%-იანი წილისაგან, რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით.

3000 მიმდინარე ვალდებულებები ა8

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
3100		**23,410**	**23,072,083**	**23,078,244**	**546**	**30,117**
3110 მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები		23,410	22,738,053	22,744,214	546	30,117
3130 გადასახდელი ხელფასები			334,030	334,030		
Grand Total		**23,410**	**23,072,083**	**23,078,244**	**546**	**30,117**

აქტივის გამოყენების უფლება ა6.1

ა) აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთის ხარჯი საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად;	25090
ბ) საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;	2509
გ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხულ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს ისეთ იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომლის ვადაა არაუმეტეს ერთი თვე	-
დ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ისეთ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც მითითებულია 53(გ) პუნქტში;	-
ე) ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში;	-
ვ) შემოსავალი, რომელიც მიღებულია გამოყენების უფლების აქტივების ქვეიჯარიდან;	-

ზ) იჯარასთან დაკავშირებით საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა;	27,600
თ) აქტივების გამოყენების უფლებების მატება;	
ი) შემოსულობა და ზარალი, რომელიც მიღებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებიდან; და	-
კ) აქტივების გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად.	79,534.81

5000 კაპიტალი ა10

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
გაუნაწილებელი მოგება		9,849,393	6,005,543	2,157,881		6,001,730
ჯამი		**9,849,393**	**6,005,543**	**2,157,881**		**6,001,730**

კაპიტალი გაზრდილია საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგებით და შემცირებულია გამოცხადებული და გაცემული დივიდენდებით.

საოპერაციო შემოსავლები (ბ1)

დასახელება	**2018 წ**
შემოსავალი რეალიზაციიდან	24,783,264.00
სხვა სრული შემოსავლები	329,955.00
სულ	**25,113,219**

საოპერაციო შემოსავლები (ბ1.1)

დასახელება	**2019წ**
შემოსავალი რეალიზაციიდან	16,582,019
ტალონები	3,114,885
დივიდენდები	629,430
შემოსავალი იჯარიდან	321,907
თხევადი აირის რეალიზაცია	228,455
ღორღის რეალიზაცია	157,425
მაღაზიის რეალიზაცია	120,594
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	22,757
ვალუტის კონვერტაცია	267
სულ	**21,177,472**

შედგება ნ/პროდ რეალიზაციით, სურსათის რეალიზაციით და ინერტული მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისაგან, აგრეთვე მიღებული დივიდენდებისაგან.

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიდში გაწეული ადმინ და ზედნადები ხარჯები: (ბ2)

დასახელება	2018 წ
სხვა საერთო ხარჯი	387,689
საპენსიო ხარჯის	
ადმინ მიზნებისათვის გამოყენებული საწვავის ხარჯი	
კომუნიკაციის ხარჯები	
საკონსულტაციო ხარჯები	
ცვეთა და ამორტიზაცია	123,131
ბანკის მომსახურების საკომისიო	
შრომის ანაზღაურება	259,200
სულ	**770,020**

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიდში გაწეული ადმინ და ზედნადები ხარჯები: (ბ2.1)

დასახელება	2019 წ
შრომის ანაზღაურება	306,430
ცვეთა და ამორტიზაცია	139,624
სხვა საოპერაციო ხარჯები	129,735
სხვა საერთო ხარჯი	82,156
ადმინ მიზნებისათვის გამოყენებული საწვავის ხარჯი	35,670
საგადასახადო ხარჯი	29,687
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	25,091
ბანკის მომსახურების საკომისიო	21,410
ადმინისტრაციული და სხვა ზედანდები ხარჯი	15,708
საკონსულტაციო ხარჯები	15,000
აქციზის გადასახადის ხარჯი	5,890
კომუნიკაციის ხარჯები	4,063
საპენსიო ხარჯის ანგარიში	3,359
აქტივის გამოყენების უფლების საპროც ხარჯი	2,509
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1,924
სულ	**818,256**

5. რისკის მართვა

<u>კაპიტალის რისკის მართვა</u>
კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განავითაროს ბიზნესი.
კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

<u>რისკის მართვის პოლიტიკა</u>

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიადგება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.

რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების

შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

<u>საოპერაციო რისკი</u>
საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

7. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: **პეტროს ნანაიან**
16/9/2020

მმართველობის ანგარიშგება,
ფინანსური ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს მეეკი (სკ 236684469)

სარჩევი

- დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში (დასკვნა)
- მმართველობის ანგარიშგება:
  - საქმიანობის მიმოხილვა
  - განვითრების გეგმები
  - ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
  - დამატებითი განმარტებები
  - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
  - მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში
  - კაპიტალის ცვლილებების ანგარიში
  - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
  - ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს მეეკის (ს/ნ 236684469) 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშო პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის ანგარიშგების შედეგების შესახებ

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს მეეკის (236684469) (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სათანადოდ მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში გაასაჯაროვოს ინფორმაცია,

რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის სამუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება

უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე
ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე
ჩვენი აზრით კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

კონსტანტინე ჭანტურიძე

რეგისტრირებული აუდიტორი,

ინდ. რეგ. ნომ. № SARAS-A-768413

16 სექტემბერი 2020 წ.

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობა, განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ძირითადი მონაცემები კომპანიის შესახებ

კომპანია ახორციელებს ნავთობპროდუქტების (თხევადი საავტომობილო საწვავი და გათხევადებული ბუნებრივი გაზები CNG, LPG) ძირითადად საცალო, ასევე წვრილ საბითუმო რეალიზაციას, სურსათის საცალო რეალიზაციას, ინერტული მასალის (ღორღი) საბითუმო რეალიზაციას და საიჯარო მომსახურებას. კომპანია სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით - ნავთობპროდუქტებით მარაგდება ადგილობრივი მსხვილი საბითუმო რეალიზატორებისაგან, სურსათით - ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ხოლო ქვა-ღორღს მოიპოვებს კარიერზე შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე.

კომპანიის პარტნიორები არიან:

მანუელ მკოიან, 07001047361 25%

დავით მკოიან, 07001047397 25%

მარტუნ მკოიან, 07001001210 50%

დირექტორი: პეტროს ნანაიან, 32001001954

<u>ცვლილებები</u>
საანგარიშო პერიოდში სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება განხორციელდა 2019 წლის ივნისში.

დირექტორი - ნორაირ მკოიან (32001003236), შეცვალა პეტროს ნანაიანმა 32001001954,

პარტნიორები:
მარტუნ მკოიან (07001001210) (50%) და ნორაირ მკოიან 32001003236 (50%) ჩაანაცვლეს ზემოთაღნიშნულმა პირებმა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება, კონკრეტულად მისი მე-14 თავი: ნავთბპროდუქტების ოპერაციების აღრიცხვა, მუხლები 57-62.
- ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონი.

კომპანია საქონელს ძირითადად ყიდის ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ნავთობპროდუქტების ბაზარზე კომპანიის წილი მცირეა. მას მფლობელობაში აქვს მნიშვნელოვანი ტევადობის ნავთობპროდუქტების საცავი და 6 ავტოგასამართი სადგური ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონში. კომპანიის ბაზრის წილი დასახელებულ რაიონებშიც

მცირეა, ვინაიდან აქ ოპერირებენ მსხვილი კონკურენტები: ვისოლი, რომპეტროლი, გალფი და სხვა ოპერატორები.

სუსრსათისა და ქვა-ღორღის ბაზარზეც კომპანიის ბაზრის წილი მცირეა.

სარეალიზაციო საქონლის ასორტიმენტი იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- საავტომობილო ბენზინები;
- დიზელის საწვავი;
- გათხევადებული ბუნებრივი გაზები CNG, LPG;
- სურსათი;
- ინერტული მასალები;

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შეცვლას უახლოეს პერიოდში არ გეგმავს. თუმცა აპირებს ასორტიმენტის გაფართოებას - გათხევადებული პროპან-ბუტანის (LPG) რეალიზაციის დაწყებას და მის ზრდას.

აღნიშნულის გათვალისწინებით კომპანიის წლიური რეალიზაცია (რაოდენობრივი მონაცემები) შესაძლებელია გაიზარდოს 4-5%-მდე.

ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.

კომპანიას ფილიალები არ გააჩნია.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლებია:

დასახელება	31-12-18	31-12-19	გასულ წელთან შედარება
მიმდინარე აქტივები	8,565,167	4,628,971	54%
გრძელვადიანი აქტივები	1,307,635	1,402,330	107%
სულ აქტივები	9,872,802	6,031,301	61%
მიმდინარე ვალდებულებები	23,410	29,571	126%
სულ კაპიტალი	9,849,392	6,001,731	61%
სულ პასივები	9,872,802	6,031,301	61%
შემოსავალი რელიზაციიდან	25,113,219	21,280,634	85%
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22,871,965	18,248,918	80%

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტის აზრით კომპანიისათვის ძირითად რისკებს წარმოადგენენ საბაზრო, საფასო და საოპერაციო რისკები.

საბაზრო რისკი და საფასო რისკი განპირობებულია მწვავე კონკურენციით დიდ ქსელურ კომპანიებთან, რამაც შეიძლება გააუარესოს საბაზრო განაკვეთები, გამოიწვიოს ფასების მერყეობა. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე. საფასო რისკი პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით იმართება. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ.

საოპერაციო რისკი წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ ცდილობს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

დირექტორი: **პეტროს ნანაიანი**

შპს მეეკი (სკ 236684469)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	30-12-19	31-12-18	31-12-17	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	1,590,005	6,182,348	3,878,602	ა1
მოკლევადიანი მოთხოვნები	48,878	119,778	292,686	ა2
სასაქონლო--მატერიალური მარაგი	2,922,311	2,259,248	2,904,135	ა3
წინასწარ გაწეული ხარჯები	0	0	0	ა4
საგადასახადო აქტივები	67,776	3,793	4,126	ა5
სულ მიმდინარე აქტივები	**4,628,971**	**8,565,167**	**7,079,549**	
აქტივის გამოყენების უფლება	79,535			ა6.1
ძირითადი საშუალებები	1,201,945	1,175,635	1,289,964	ა6
მიწა	132,000	132,000	132,000	ა6
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	68,385			ა7
სულ გრძელვადიანი აქტივები	**1,481,865**	**1,307,635**	**1,421,964**	
სულ აქტივები	**6,110,836**	**9,872,802**	**8,501,513**	
ბრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	79,535			ა6.1
მოკლევადიანი ვალდებულებები	29,571	23,410	123,355	ა8
სულ მიმდინარე ვალდებულებები	**109,106**	**23,410**	**123,355**	
საწესდებო კაპიტალი		592,449	592,449	ა9
მოგება/ ზარალი	6,001,730	9,256,943	7,785,708	ა10
სულ კაპიტალი	**6,001,730**	**9,849,392**	**8,378,158**	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	**6,110,836**	**9,872,802**	**8,501,513**	

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)

მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

		2019 წ	2018 წ
დასახელება	შენიშვნა	შემოსავლები	შემოსავლები
შემოსავალი რეალიზაციიდან	ბ1.1	21,223,753	24,783,264.00
სხვა საოპერაციო შემოსავლები		11,854	29,955.00
სულ შემოსავლები		**21,235,877**	**25,113,219**
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		18,259,740	22,871,965
საოპერაციო მოგება		**2,976,137**	**2,241,254**
ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯები	ბ2.1	818,256	720,020
სულ ხარჯები		**19,077,996**	**23,641,985**
მოგება დაბეგვრამდე		**2,157,881**	**1,471,234**
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება		**2,157,881**	**1,471,234**

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	2019	2018
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	24,270,637.59	30,300,120
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გაცემული სახსრები და გადასახადები	(23,459,267)	(27,996,374)
	783,770	**2,303,746**
ფინანსური საქმიანობა		
ფინანსური დანახარჯები	(27600)	0
	(27600)	**0**
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	0.00	
მიღებული დივიდენდი	629,430.00	
გადახდილი დივიდენდები	(6,005,543.00)	
	(5,376,113)	**0**
არასაოპერაციო საქმიანობა		
არასაოპერაციო შემოსავლები		
არასაოპერაციო ხარჯები		
		0
ფულადი სახსრების ცვლილება პერიოდში	**(4,592,343)**	**2,303,746**

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2017	0		**8,378,157**	**8,378,157**
ამონაგები	-	-	1,471,234	9,849,392
გადახდილი დივიდენდები	-	-	-	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	0		**9,849,392**	**9,849,392**
ამონაგები	0		2,157,881	2,157,881
გადახდილი დივიდენდები	-	-	(6,005,542)	(6,005,542)
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	-	-	**6,001,730**	**6,001,730**

დირექტორი: პეტროს ნანაიანი

შპს მეეკი (სკ 236684469)
ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. კომპანია

საფირმო სახელწოდება:	შპს მეეკი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	236684469
რეგისტრაციის ნომ, თარიღი:	01/02/2018
მარეგისტრირებელი ორგანო:	ნინოწმინდის სასამართლო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ნინოწმინდის რაიონი, ს. სათხა
ხელმძღვ/წარმომადგ:	დირექტორი პეტროს ნანაიან, 32001001954

პარტნიორები:

მანუელ მკოიან, 07001047361	25%
დავით მკოიან, 07001047397	25%
მარტუნ მკოიან, 07001001210	50%

ცვლილებები
საანგარიშო პერიოდში სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილება განხორციელდა 2019 წლის ივნისში.

დირექტორი - ნორაირ მკოიან (32001003236), შეცვალა პეტროს ნანაიანმა 32001001954,

პარტნიორები:
მარტუნ მკოიან (07001001210) (50%) და ნორაირ მკოიან 32001003236 (50%) ჩაანაცვლეს ზემოთაღნიშნულმა პირებმა.

კომპანია ახორციელებს ნავთობპროდუქტების (თხევადი საავტომობილო საწვავი და გაზები CNG PLG) ძირითადად საცალო, ასევე წვრილ საბითუმო რეალიზაციას, სურსათის საცალო რეალიზაციას და ინერტული მასალის (ღორღი) საბითუმო რეალიზაციას. იგი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებით - ნავთობპროდუქტებით მარაგდება ადგილობრივი მსხვილი საბითუმო რეალიზატორებისაგან, სურსათით - ადგილობრივი მომწოდებლებისაგან, ხოლო ქვა-ღორღს მოიპოვებს თავად.

2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

შესაბამისობა
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.
რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.
გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით.

<u>ფუნქციონალური ვალუტა</u>
კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

<u>ურთიერთჩათვლა</u>
ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩაითვლება და წმინდა ღირებულებით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს იურიდიული უფლება განახორციელოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

<u>ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზების ზოგადი საკითხები.</u>
საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა წარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს: ა) ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებას პერიოდის დასასრულისთვის; ბ) პერიოდის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას; გ) პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას; დ) პერიოდის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; ე) განმარტებით შენიშვნებს, სადაც განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია; ეა) წინა პერიოდის შესადარის ინფორმაციას, როგორც ეს განსაზღვრულია 38-ე და 38ა პუნქტებში; და ვ) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას წინა პერიოდის დაწყების თარიღის მდგომარეობით, როდესაც ის სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს რეტროსპექტულად, ან ფინანსური ანგარიშგების მუხლებს გადაიანგარიშებს რეტროსპექტულად, ან როდესაც საწარმო ცვლის ფინანსური ანგარიშგების მუხლების კლასიფიკაციას 40ა-40დ პუნქტების შესაბამისად. სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი, კომპანია თავის მეკავშირე საწარმოს ანგარიშგებას წარუდგენს ევროში.

არღიცხვა წარმოებს საბუღალტრო პროგრამა ორისის გამოყენებით.

ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი პირია მთავარი ბუღალტერი, ფინანსურ ანგარიშგებას ზედამხედველობას უწევს კომპანიის დირექტორი.

<u>ძირითადი საშუალებების აღრიცხვა.</u>
ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:
ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:
ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:
ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გათვალისწინებით;
ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასებისათვის შერჩეულია თვითღირებულების მოდელი.

<u>ცვეთა.</u>
ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი.

ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

გაუფასურება იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 16-ს.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

<u>ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში</u>.
შვილობილ, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებში ფლობილი ინვესტიციები აისახება თვითღირებულებით;

<u>საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.</u>
საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:
ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:
ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;
გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.
პროცენტები, როიალტები და დივიდენდები აისახება, თუ:
ა) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან მომავალში საწარმოში შემოვა ეკონომიკური სარგებელი;
ბ) შესაძლებელია ამონაგების სიდიდის საიმედოდ შეფასება.
ა) პროცენტების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, რომელსაც ითვალისწინებს ბასს 39-ის მე-9 და მგ5-მგ8 პუნქტები;
ბ) როიალტების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით, შესაბამისი შეთანხმების შინაარსის მიხედვით;

გ) დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როგორც კი ძალაში შევა უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

საკურსო სხვაობების აღიარება. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა, ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად.

მომსახურება ეწევათ სხვადასხვა იურიდიულ პირებს უმეტესად საიჯარო კუთხით. მომსახურება საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

<u>ანგარიშსწორების ანგარიშით შესრულებული ოპერაციების აღრიცხვა.</u>
უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციის შინაარსის მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

<u>სავალუტო ანგარიშებით წარმოებული ოპერაციების აღრიცხვა.</u>
ბუღალტრული აღრიცხვა უნდა ედრებოდეს ბანკების მიერ მოწოდებულ ამონაწერებში დაფიქსირებულ ბრუნვის მონაცემებსა და ნაშთებს შესაბამის ვალუტებში. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები სამუშაო ვალუტაში გადადის ბასს21-ის მოთხოვნათა შესაბამისად. ანგარიშსწორების ანგარიშის მოკორესპონდენტო ანგარიშების მითითებას და შესაბამისად, ოპერაციების შინაარსების მიხედვით გატარებებს ასრულებენ სათანადო კვალიფიკაციის ბუღალტრები.

<u>მყიდველებთან და დამკვეთებთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.</u>
ბასს39 მოთხოვნათა შესაბამისად ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განისაზღვრება, არსებობს თუ არა მინიშნება დებიტორული დავალიანების, როგორც ფინანსური აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეაფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და განმარტებით შენიშვნებში აისახება სააღრიცხვო შეფასებაში მომხდარი ცვლილების შინაარსი და მოცულობა (Loss allowance), რომელიც არსებით გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე ან მოსალოდნელია, რომ მოახდენს მომავალ პერიოდებზე.

<u>მომწოდებლებთან ანგარიშწორების აღრიცხვა.</u>
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების აღრიცხვა წარმოებს ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით. ანგარიშგების წარმოდგენისას მომწოდებლის მიმართ უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულების ფინანსური (მონეტარული) ანგარიშ(ებ)ი გადაიყვანება წარსადგენ ვალუტაში ბასს21-ის მოთხოვნათა დაცვით: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებული საბოლოო სავალუტო კურსით; გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში.

<u>შრომის ანაზღაურების აღრიცხვა.</u>
აღირიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდართის მე-11 პუნქტის მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი,

ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში (მაგ. ბასს 2 – „მარაგები“, ან ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“).

<u>იჯარის აღრიცხვა</u>

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

<u>კომპანია, როგორც მეიჯარე</u>

არღიცხვას აწარმოებს ფასს16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან. საოპერაციო იჯარიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში. საოპერაციო იჯარის გაფორმებისას გაწეული საწყისი პირდაპირი დანახარჯები ემატება იჯარით გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებას და აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის მოქმედების პერიოდში.

<u>კომპანია, როგორც მოიჯარე</u>

არღიცხვას აწარმოებს ფასს16-ის მიხედვით 2019 წლის 1 იანვრიდან. ხდება იდენტიფიკაცია, შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას. დგინდება იჯარის ვადა, იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება (საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით). დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, გამოიყენება ზღვრული სასესხო განაკვეთი.

აქტივის გამოყენების უფლების შემდგომი შეფასება: იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლებაზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება ბასს 16 - „ძირითადი საშუალებები“, ფასს16-ის 32-ე პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება ფასდება შემდეგნაირად: ა) იზრდება საბალანსო ღირებულება საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; ბ) მცირდება საბალანსო ღირებულება განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; და გ) ხელახლა ფასდება საბალანსო ღირებულება ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით.

წარდგენა: ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილია: ა) აქტივების გამოყენების უფლებები სხვა აქტივებისგან განცალკევებით ბ) საიჯარო ვალდებულებები სხვა ვალდებულებებისგან განცალკევებით.

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი აქტივის გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯისგან განცალკევებით არის წარდგენილი. საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი ფინანსური დანახარჯების ერთ-ერთი კომპონენტია, რომელიც ასევე წარდგება განცალკევებით მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ბასს 1-ის - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ - 82(ბ) პუნქტის თანახმად). ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ა) საიჯარო ვალდებულების ძირ თანხასთან დაკავშირებული ფულადი გადახდების კლასიფიცირება მოხდენილია საფინანსო საქმიანობის შემადგენლობაში; ბ) საიჯარო ვალდებულების პროცენტებთან დაკავშირებული ფულადი გადახდების კლასიფიცირება ხდება ბასს 7-ის - „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ - მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება გადახდილ პროცენტებს; და გ) საოპერაციო საქმიანობის შემადგენლობაში ხდება მოკლევადიან იჯარასა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან დაკავშირებული

გადახდებისა და ასევე ისეთი ცვლადი საიჯარო გადახდების კლასიფიცირება, რომლებიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულების შეფასებაში.

<u>სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების აღრიცხვა.</u>
მიწოდების და მომსახურების პრაქტიკულად ყველა ოპერაცია იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით.

დღგ-ს უკუდაბეგვრა არარეზიდენტების მიერ კომპანიისათვის საქართველოში გაწეულ მომსახურებაზე ხორციელდება საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

<u>საშემოსავლო გადასახადი.</u>
საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად პირი, რომელიც ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად გადახდის წყაროსთან აკავებს გადასახადს, ვალდებულია: ბიუჯეტში გადარიცხოს გადასახადი პირისათვის თანხის გადახდისთანავე, ხოლო განაცემის არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში – შესაბამისი თვის ბოლო რიცხვში;

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად საგადასახადო აგენტი ვალდებულია ამ კოდექსის 153 - ე მუხლის მე 5 ნაწილით დადგენილ ყოველ საანგარიშო პერიოდზე, არა უგვიანეს ამ პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით საგადასახადო ორგანოში წარადგინოს დეკლარაცია განხორციელებული განაცემების დაბეგვრასთან დაკავშირებით.

თანამშრომელთა ნაწილი განთავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისაგან სსკ 82 მუხლის მე-2 ნაწილის გ) პუნქტის შესაბამისად. წარმოდგენილი აქვთ სათანადო ცნობები შეღავათით სარგებლობის შესახებ.

ხელფასთან გათანაბრებული სხვა ხარჯები იბეგრება 154 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. დივიდენდები იბეგრება 130 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

ქონების გადასახადი იანგარიშება საგადასახადო კოდექსის 29-ე თავის მოთხოვნათა შესაბამისად.

<u>ბუღალტრული აღრიცხვის კრიტიკული დაშვებები და შეფასებების არასარწმუნოობის ძირითადი წყაროები</u>
ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადა. კომპანია ახორციელებს ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის გადახედვას ყოველი ანგარიშგების თარიღისათვის. 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ მოუხდენია ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადის შესწორება.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების თავდაპირველი აღიარება. ბიზნეს-საქმიანობის პროცესში კომპანია ტრანზაქციებს ახორციელებს დაკავშირებულ მხარეებთან. ბასს 39-ის მიხედვით, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს მათი რეალური ღირებულების საფუძველზე. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციების აქტიური ბაზარი არ არსებობს, იმის გარკვევა, ტრანზაქცია საბაზრო თუ არასაბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ფასდება თუ არა, შეფასებით ხდება, რომელიც დაუკავშირებელ მხარეებთან მიმდინარე მსგავსი ტრანზაქციების ფასებისა და ეფექტური

საპროცენტო განაკვეთების ანალიზს ეფუძნება. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთების შესახებ განმარტებულია შენიშვნაში.
დაკავშირებული მხარები არიან:

დირექტორი პეტროს ნანაიან, 32001001954
პარტნიორები:
მანუელ მკოიან, 07001047361 25%
დავით მკოიან, 07001047397 25%
მარტუნ მკოიან, 07001001210 50%

3. ახალი და შესწორებული ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა

კომპანიამ შესწორებათა ამოქმედებისთანავე მოახდინა რეაგირება. კერძოდ, იჯარა აღრიცხა 2019 წლის 1 იანვარს ძალაში შესული ფასს16-ის შესაბამისად.

ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები: კომპანია არ იყენებს ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს, რომელთა ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

4.
ფული და ექვივალენტები ა1

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
1100	**5,767,540**		**19,161,293**	**23,425,461**	**1,503,371**	
1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5,767,540		19,161,293	23,425,461	1,503,371	
1200	**414,810**		**33,334,326**	**33,662,502**	**86,634**	
1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	414,810		33,289,837	33,618,013	86,634	
1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში			44,489	44,489		
Grand Total	**6,182,350**		**52,495,619**	**57,087,964**	**1,590,005**	

მოკლევადიანი მოთხოვნები ა2

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
1400	**51,393**		**29,400,752**	**29,403,267**	**52,518**	**3,640**
1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	51,393		29,400,752	29,403,267	52,518	3,640
Grand Total	**51,393**		**29,400,752**	**29,403,267**	**52,518**	**3,640**

აერთიანებს მოთხოვნებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, მისაღებ დივიდენდებს.

რაც შეეხება ანარიცხებს საეჭვო და უიმედო დებიტორულ დავალიანებებზე, ის არაარსებით თანხას შეადგენს.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ა3

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
1600	**2,259,248**		**37,419,512**	**36,756,448**	**2,922,311**	
1610 საქონელი	2,259,248		37,419,512	36,756,448	2,922,311	
Grand Total	**2,259,248**		**37,419,512**	**36,756,448**	**2,922,311**	

საგადასახადო აქტივი ა5

დასახელება	31/12/18 დებეტი	31/12/18 კრედ	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
3300	**3,792**		**8,752,784**	**8,688,800**	**68,615**	**840**
3300 საგადასახადო ვალდებულებები	3,792		938,489	924,303	17,978	
3310 გადასახდელი მოგების გადასახადი			132,353	132,353		
3320 გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი			307,236	307,236		
3330 გადასახდელი დღგ			3,889,907	3,848,935	40,972	
3340 გადახდილი დღგ			3,447,047	3,447,535		488
3380 ქონების გადასახადი			29,667	20,001	9,666	
3390 სხვა საგადასახადო ვალდებულებები			8,085	8,437		352
Grand Total	**3,792**		**8,752,784**	**8,688,800**	**68,615**	**840**

ძირითადი საშუალებები ა6

დასახელება	მიწა	შენობა-ნაგებობა	მანქანა-დანადგარები	სატრანსპ საშუალებები	ავეჯი	ჯამი
საბალ.ღირებულება	132,000.00	623,792.72	250,186.02	393,052.07	2,753.68	1,401,784.49
შემოსვლა 2019			78,077.85	155,696.00		233,773.85
გასვლა 2019				67,733.55		67,733.55
ნარჩ ღირ 2019 წლის ბოლოს ცვ დარიცხვამდე	132,000.00	623,792.72	328,263.87	481,014.52	2,753.68	1,567,824.79
ცვეთის დასარიცხი თანხა		71,871.98	30,692.89	43,323.25	419.49	146,307.61
საბალ ღირ 2019 წლის ბოლოს ცვ დარიცხვის შემდეგ	132,000.00	551,920.74	297,570.98	437,691.27	2,334.19	1,421,517.18

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები ფინანსური წლის ბოლოს გადასინჯულია და მნიშვნელოვანი განსხვავებები წინა შეფასებებისაგან გამოვლენილი არ არის. შესაბამისად სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილებები არ არის.

მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში ა7

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
2400	**68,385**		**629,430**	**629,430**	**68,385**	
2430 მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	68,385		629,430	629,430	68,385	
Grand Total	**68,385**		**629,430**	**629,430**	**68,385**	

შედგება მხოლოდ ეს ჯი გაზ კომპანიის 20%-იანი წილისაგან, რომელიც აღირიცხება თვითღირებულებით.

3000 მიმდინარე ვალდებულებები ა8

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
3100		**23,410**	**23,072,083**	**23,078,244**	**546**	**30,117**
3110 მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები		23,410	22,738,053	22,744,214	546	30,117
3130 გადასახდელი ხელფასები			334,030	334,030		
Grand Total		**23,410**	**23,072,083**	**23,078,244**	**546**	**30,117**

აქტივის გამოყენების უფლება ა6.1

ა) აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთის ხარჯი საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად;	25090
ბ) საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;	2509
გ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხულ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს ისეთ იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომლის ვადაა არაუმეტეს ერთი თვე	-
დ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ისეთ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც მითითებულია 53(გ) პუნქტში;	-
ე) ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში;	-
ვ) შემოსავალი, რომელიც მიღებულია გამოყენების უფლების აქტივების ქვეიჯარიდან;	-

ზ) იჯარასთან დაკავშირებით საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა;	27,600
თ) აქტივების გამოყენების უფლებების მატება;	
ი) შემოსულობა და ზარალი, რომელიც მიღებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებიდან; და	-
კ) აქტივების გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად.	79,534.81

5000 კაპიტალი ა10

დასახელება	31/12/2018 დებეტი	31/12/2018 კრედიტი	ბრუნვა დებეტი	ბრუნვა კრედიტი	31/12/2019 დებეტი	31/12/2019 კრედიტი
გაუნაწილებელი მოგება		9,849,393	6,005,543	2,157,881		6,001,730
ჯამი		**9,849,393**	**6,005,543**	**2,157,881**		**6,001,730**

კაპიტალი გაზრდილია საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგებით და შემცირებულია გამოცხადებული და გაცემული დივიდენდებით.

საოპერაციო შემოსავლები (ბ1)

დასახელება	**2018 წ**
შემოსავალი რეალიზაციიდან	24,783,264.00
სხვა სრული შემოსავლები	329,955.00
სულ	**25,113,219**

საოპერაციო შემოსავლები (ბ1.1)

დასახელება	**2019წ**
შემოსავალი რეალიზაციიდან	16,582,019
ტალონები	3,114,885
დივიდენდები	629,430
შემოსავალი იჯარიდან	321,907
თხევადი აირის რეალიზაცია	228,455
ღორღის რეალიზაცია	157,425
მაღაზიის რეალიზაცია	120,594
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	22,757
ვალუტის კონვერტაცია	267
სულ	**21,177,472**

შედგება ნ/პროდ რეალიზაციით, სურსათის რეალიზაციით და ინერტული მასალების რეალიზაციით მიღებული შემოსავლებისაგან, აგრეთვე მიღებული დივიდენდებისაგან.

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიდში გაწეული ადმინ და ზედნადები ხარჯები: (ბ2)

დასახელება	2018 წ
სხვა საერთო ხარჯი	387,689
საპენსიო ხარჯის	
ადმინ მიზნებისათვის გამოყენებული საწვავის ხარჯი	
კომუნიკაციის ხარჯები	
საკონსულტაციო ხარჯები	
ცვეთა და ამორტიზაცია	123,131
ბანკის მომსახურების საკომისიო	
შრომის ანაზღაურება	259,200
სულ	**770,020**

კომპანიის მიერ საანგარიშო პერიდში გაწეული ადმინ და ზედნადები ხარჯები: (ბ2.1)

დასახელება	2019 წ
შრომის ანაზღაურება	306,430
ცვეთა და ამორტიზაცია	139,624
სხვა საოპერაციო ხარჯები	129,735
სხვა საერთო ხარჯი	82,156
ადმინ მიზნებისათვის გამოყენებული საწვავის ხარჯი	35,670
საგადასახადო ხარჯი	29,687
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	25,091
ბანკის მომსახურების საკომისიო	21,410
ადმინისტრაციული და სხვა ზედანდები ხარჯი	15,708
საკონსულტაციო ხარჯები	15,000
აქციზის გადასახადის ხარჯი	5,890
კომუნიკაციის ხარჯები	4,063
საპენსიო ხარჯის ანგარიში	3,359
აქტივის გამოყენების უფლების საპროც ხარჯი	2,509
ძირითადი მასალების დანახარჯები/შეძენა	1,924
სულ	**818,256**

5. რისკის მართვა

<u>კაპიტალის რისკის მართვა</u>

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს განზრახული აქვთ, მომავალშიც განავითარონ ბიზნესი.

კომპანია კაპიტალს მართავს იმისათვის, რათა უზრუნველყოს კომპანიის მხრიდან უწყვეტი საწარმოს პრინციპით ფუნქციონირების გაგრძელება, მათ შორის უკუგების გასაზრდელად სესხისა (საჭიროების შემთხვევაში) და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზაციის გზით.

<u>რისკის მართვის პოლიტიკა</u>

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

კომპანია ექვემდებარება რისკს, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც კომპანიას მიადგება ფინანსური ზარალი. ან ვალდებულების დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს ზარალს ეროვნული ვალუტის გაუფასურების გამო.
რისკის ამ სახის მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ დაწესებული ლიმიტებით. როგორც წესი, სავაჭრო მოთხოვნები არ წარმოადგენს უზრუნველყოფილ, ან ჰეჯირებულ მოთხოვნებს. კომპანია აკონტროლებს მოთხოვნების ოდენობებისა და ვადიანობის ლიმიტებს, ვადაგადაცილებას, კლიენტების რეიტინგს. ამ პარამეტრების გათვალისწინებით ანგარიშობს გაუფასურების ოდენობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.
კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.
ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.
საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების

შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ.

<u>საოპერაციო რისკი</u>

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

7. შემდგომი მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი: **პეტროს ნანაიან**
16/9/2020